

კახეთის 2018 წლის თასი ფიგურულ სლალომში

შეჯიბრებების რეგლამენტი

დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ 2018 წელი

1. შესავალი
2. ოფიციალური შეჯიბრებების ჩატარების ამოცანები და მიზნები
3. შეჯიბრებების ჩატარების უფლებები
4. შეჯიბრებების კალენდარი
5. ტრასა
6. უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა
7. ოფიციალური პირები
8. მოთხოვნები მონაწილეებთან, მრბოლელებთან, გუნდებთან
9. დაშვებული ავტომობილები
10. კლასიფიკაცია, შედეგების განსაზღვრა
11. დაჯილდოება
12. პროტესტები და აპელაციები

მუხლი 1. შესავალი

1.1. აღნიშნული რეგლამენტი (შემდგომში დქჯ-ს რეგლამენტი) შედგენილია 2018 წლის საავტომობილო სპორტის შეჯიბრებების დებულებების თანახმად და განსაზღვრავს დაფერს ქლავ ჯორჯიას 2018 წლის ოფიციალური შეჯიბრებების ორგანიზებისა და წარმართვის წესებს საავტომობილო ფიგურული სლალომის დისციპლინაში.

1.2. ჩემპიონატის ორგანიზებისა და წარმართვის ნორმატიულ დოკუმენტაციად ითვლება:

- სსსფ-ს სპორტული კოდექსი და მისი დანართები;
- ჩემპიონატის წარმართვის საერთო დებულებები (სსსფ-ს საერთო დებულებები);
- ფიგურული სლალომის ორგანიზებისა და ჩატარების წესები;
- სპორტულ შეჯიბრში მონაწილე ავტომობილების ტექნიკური მოთხოვნები და კლასიფიკაცია;
- მოქმედი რეგლამენტი (სსსფ-ს რეგლამენტი) და მისი დანართი;

- ღონისძიების რეგლამენტი.

1.3. კახეთი 2018 წლის თასი“- ფიგურულ სლალომში ტარდება სსსფ-ს გადაწყვეტილებების თანახმად, მის მიერ 2018 წლის ავტოსპორტის დადგენილი სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების კალენდარული გეგმის თანახმად.

1.4. მოცემული დექ-ს რეგლამენტი, ძალაშია დამტკიცების მომენტიდან და ანაცვლებს ამ დრომდე მოქმედ ყველა რეგლამენტს.

მუხლი 2.ოფიციალური შეჯიბრებების ამოცანები და მიზნები

2.1 კახეთის 2018 წლის თასის ფიგურულ სლალომში ოფიციალური შეჯიბრებები ტარდება ავტომობილის საუკეთესო მართვის უნარის მქონე მძღოლის გამოსავლენად, სპორტული და სარბოლო უნარების ასამაღლებლად, მაყურებელში საავტომობილო დისციპლინებისა და ტექნიკური სახეობების პოპულარიზაციისა და ჯანსაღი ცხოვრების წესისა, ავტომობილის უსაფრთხოდ მართვის პროპაგანდისათვის.

მუხლი 3. შეჯიბრებების ჩატარების უფლებები

3.1. კახეთის 2018 წლის თასის ფიგურულ სლალომში ჩატარების უფლება ენიჭება ა.ი.პ. „დაფერს ქლავ ჯორჯიას“.

3.2. სსსფ-ს სტრუქტურაში ფიგურული სლალომის ჩატარებისას, სპორტული პრინციპებისა და შეჯიბრებების ორგანიზების პასუხისმგებლობა ეკისრება სსსფ-ს სატრეკო რბოლების კომისიას, რომელიც მოქმედებს სსსფ-ს შესაბამის რეგიონალურ განყოფილებებსა და ფედერაციებთან ერთად, სერიის ორგანიზატორებთან (პრომოუტერებთან) და უშუალოდ ღონისძიებების ორგანიზატორებთან ერთად.

3.3. ერთიანი ტექნიკური მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სპორტული ღონისძიებების კალენდრის შესათანხმებლად (სასწავლო-სავარჯიშო, სასწავლო-მეთოდური, ტექნიკური თუ გამაჯანსაღებელი შეკრებებისა და შეჯიბრებების), სსსფ-ს სატრეკო რბოლების კომისია, სპორტსმენებისა და გუნდების სახელით, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ჩათვლით ჯგუფებში, ასევე შეჯიბრის ჩატარების ორგანიზების საფინანსო-სამეურნეო საკითხების გადასაწყვეტად, იტოვებს უფლებას დადოს ხელშეკრულება მესამე პირებთან.

მუხლი 4. შეჯიბრებების კალენდარი და სტრუქტურა

4.1. შეჯიბრებების სტრუქტურა. ა.(ა).ი.პ. „დაფერს ქლავ ჯორჯია“ 2018 წელს მართავს ოფიციალურ შეჯიბრს ფიგურულ სლალომში სახელწოდებით „კახეთის 2018 წლის თასი“, სადაც მონაწილეები ჩათვლას იღებენ სხვადასხვა ჩათვლით ჯგუფებში:

N	სტატუსი	ავტომობილის კლასები	ივენტების რაოდენობა	ჩათვლა
1	ჩემპიონატი	უკანა წამყვანი	3	პირადი
2	ჩემპიონატი	წინა წამყვანი	3	პირადი
3	ჩემპიონატი	კვადრო	3	პირადი
4	ჩემპიონატი	პროფი	3	პირადი

4.2 კალენდარი

„დაფერს კლავ ჯორჯია“-ს ჩემპიონატი ფიგურულ სლალომში 2017			
ივენტი	თარიღი	ჩატარების ადგილი	ტრასა
I ეტაპი	23-24 ივნისი	ახმეტა	ახმეტა. ჩოლოყაშვილის ქუჩა
II ეტაპი	დაზუსტდება	დაზუსტდება	დაზუსტდება
III ეტაპი	დაზუსტდება	დაზუსტდება	დაზუსტდება

4.3. კალენდარში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება საიტზე - GASF.CO დანაყოფში „სპორტი>კალენდარი“.

მუხლი 5. ტრასები

5.1. შეჯიბრებების ჩატარების ტრასა უნდა ექვემდებარებოდეს სსსფ–ს სატრეკო კომისიის მოთხოვნებს და უნდა იყოს მასთან შეთანხმებული. მუდმივ ტრასებს უნდა გააჩნდეთ სსსფ–ს მიერ დადგენილი ლიცენზია .

5.2. შეჯიბრის დაწყების წინ რბოლების ხელმძღვანელი ვალდებულია შეამოწმოს ტრასის მზადყოფნა და მისი შესაბამისობა ტრასის პასპორტთან. შემოწმებების შედეგებიდან გამომდინარე, დგინდება და ხელი ეწერება ტრასის მიღების აქტს.

მუხლი 6. უსაფრთხოების ზომების დაცვა

6.1. შეჯიბრის ჩატარების დროს უსაფრთხოების დაცვის შესახებ პასუხისმგებლობას ღებულობენ შეჯიბრის ორგანიზატორი და შეჯიბრის ხელმძღვანელი, რომელიც ვალდებულია შეაჩეროს შეჯიბრი თუ არსებობს მაცურებლის, ოფიციალური პირების, მრბოლელებისა და მონაწილე პერსონალის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საშიშროება.

მუხლი 7. ოფიციალური პირები

7.1. ჩემპიონატის ივენთებზე სსსფ–ს წრიული რბოლების კომისია ნიშნავს შემდეგ პასუხისმგებელ პირებს:

- სპორტული კომისრების კოლეგიის თავჯდომარეს – სპორტულ კომისარს სსსფ–ს უფლებებით;
- სსსფ–ს ტექნიკურ დელეგატს;
- სსსფ–ს დამკვირვებელს.

7.2. ტექნიკური დელეგატი, რომელიც დანიშნულია სსსფ–ს მიერ, ხელმძღვანელობს ტექნიკური ინსპექციის მუშაობას, აკონტროლებს ტექნიკურ კომისარს, სარემონტო, გასამართი და დახურული პარკის ტექნიკურ კონტროლიორებს.

7.3. შეჯიბრებებზე სსსფ–ს წრიული რბოლების კომისიას შეუძლია დანიშნოს შემდეგი ოფიციალური პირები:

- რბოლების ხელმძღვანელი;
- უსაფრთხოების ავტომობილის მძღოლი;
- ჩემპიონატის მდივანი;

მუხლი 8. მოთხოვნები მონაწილეების, მრბოლელების მიმართ

8.1. ოფიციალურ შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან შემდეგი პირები: რომელთაც აქვთ მართვის მოწმობა და გაანიათ შესაბამისი ავტომობილი

- შეჯიბრებებში მონაწილემ განაცხადი უნდა შეავსოს შეჯიბრების დაწყებამდე, შეჯიბრების დებულების თანახმად განსაზღვრულ დროს.
- მრბოლელის ჯამური შედეგის შეჯამება მიმდინარეობს ავტომატურად.
- განაცხადის წარუდგენლობის შემთხვევაში მრბოლელი შეჯიბრზე არ დაიშვება.

მუხლი 9. დაშვებული ავტომობილები

9.1. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ავტომობილები, რომლებიც შეესაბამებიან სახელმწიფოს მიერ საერთო სარგებლობის გზებით სარგებლობის ტექნიკურ მოთხოვნებს.

9.2. ყველა ავტომობილს უნდა გააჩნდეს შეჯიბრებაში მონაწილის სასტარტო ნომერი, რომელიც უნდა დაფიქსირდეს მონაწილის მიერ ადმინისტრაციულ შემოწმებაზე.

9.3. ტექნიკური ინსპექცია წარმოებს „კახეთის 2018 წლის თასის“ ტექნიკური მოთხოვნების მიხედვით.

9.4. სავალდებულო და არასავალდებულო რეკლამის განთავსების პირობები ცხადდება ორგანიზატორის მიერ შეჯიბრების დებულებით.

9.5. ყველა ავტომობილზე უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ სტანდარტული საბურავები.

მუხლი 10. შეჯიბრების ჩატარების პირობები. კლასიფიკაცია. შედეგების განსაზღვრა

10.1. ოფიციალური შეჯიბრებები ტარდება პირად ჩათვლებში.

10.2. ოფიციალური სერია ჩაითვლება შემდგარად იმ შემთხვევაში თუ ფაქტიურად შედგება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კალენდარული გეგმით გათვალისწინებული (კონკრეტულ სახეობაში და კლასში) შეჯიბრის მინიმუმ 70%.

10.3. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებად ითვლება მძღოლი, რომელმაც მიიღო რბოლის სტარტი. ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიმღებად ითვლება მრბოლელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ერთ შეჯიბრებაში მაინც.

10.4. შეჯიბრების ჩატარების პირობები:

10.4.1. შეჯიბრება ტარდება სამ კლასში და თითოეულში ვლინდება გამარჯვებული სამეული.

10.4.2. შეჯიბრის თითოეული მონაწილე გადის ყველა სავალდებულო ფიგურას ერთხელ და მისი საბოლოო შედეგი დგინდება ყველა სავალდებულო დისტანციის გავლის დროის ჯამით.

10.5. შეჯიბრებაში რეგისტრაციის დროს ყველა მონაწილეს ეძლევა სავალდებულო გასავლელი დისტანციის ნახაზი (ნახაზი შესაძლებელია გამოფენილ იქნას შეჯიბრის საერთო საინფორმაციო ადგილას).

10.6. მონაწილე სავალდებულო დისტანციას გადის მხოლოდ ერთხელ. გამახურებელ ან გასაცნობ წრეზე გასვლა ისჯება რბოლიდან დისკვალიფიკაციით.

10.7. რბოლისას, მონაწილე ჩათვლას იღებს მხოლოდ წინასწარი ნახაზის შესაბამისად, სწორად გავლილი დისტანციის შემთხვევაში.

10,8, დისტანციის არასწორად გავლის შემთხვევაში კონკრეტულ მონაწილეს ეწერება კონკრეტულ ჩათვლით გარბენზე, რბოლაში მონაწილე მძღოლებს შორის ყველაზე ცუდ დროს დამატებული 5 წამი.

10,9, დისტანციის გავლის დროს საკონტროლო კონუსზე შეხების შემთხვევაში მონაწილეს ეწერება ნაჩვენებ დროს დამატებული 2 წამი.

მუხლი 11. დაჯილდოება

11.1. შეჯიბრებაში გამარჯვებულებს ეწოდებათ:

- ეტაპის გამარჯვებული, პირველ ადგილოსანი;

-ეტაპის პრიზიორი, მეორე ადგილოსანი;

-ეტაპის პრიზიორი, მესამე ადგილოსანი;

მუხლი 12. პროტესტი, აპელაცია

12.1. ნებისმიერი პროტესტის განცხადება ექვემდებარება სსსფ–ს სპორტული კოდექსისი მოთხოვნებს და თან ახლავს თანხობრივი შესატანი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება შეჯიბრების დებულებით.